



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის**

**აღმასრულებელი საბჭოს**

**2020 წლის 19 ნოემბრის**

**ს ხ დ მ ი ს ო ქ მ ი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**მისამართი: დისტანციური სხდომა (Webex პლატფორმის გამოყენებით)**

**სხდომის დაწყების დრო: 17:00**

**დისტანციურ რეჟიმში სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), დათუნა მოდებაძე, მამუკა ნოზაძე, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ციციხო ცხვედიანი, მარიამ კუბლაშვილი.**

**საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება**

**წევრები გაეცნენ:**

**(ა) გვანცა მაისურაძის, გივი კაკუშაძის, მათა ბერიძის, სალომე აბრამიშვილის, ქრისტინე ობოლაძის და ნომრე ზაალიშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.**

**წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პირებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნული პირების განცხადებები**

თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გვანცა მაისურაძის, გივი კაკუშაძის, მაია ბერიძის, სალომე აბრამიშვილის, ქრისტინე ობოლაძის და ნოშრე ზაალიშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

**(ბ) ნინო ნონიაშვილის განცხადებას გაწევრიანების შეახებ.** მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო ნონიაშვილის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.**

## **საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება**

წევრები გაეცნენ **ირაკლი ფალავას** განცხადებას ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ირაკლი ფალავას მიერ წარმოდგენილი განცხადება ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

### საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ანა კუციას, გიორგი ჩიტაშვილის, თეა ბოლაშვილის, ქეთევან ხმიადაშვილის, მარიამ პაშუს, ეკატერინე წაწალაშვილის, ბაია ოტიაშვილის, შოთა შავერზაშვილის და 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების: ნანა პერტაიას და იაკობ კემულარიას განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ. აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებელ წევრს, რომელსაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვს გადასახდელი, ეცნობოს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა, წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავდროულად კანონის 21<sup>3</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა, წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>3</sup> მუხლის, პირველი

პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” კანონის 21<sup>2</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოაღნიშნული პირების განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს - ნანა პერტაიას და იაკობ კემულარიას ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანებისა და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

**საკითხი 4. საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა**

წევრები გაეცნენ:

(ა) მაია ნინუას 2020 წლის 6 ნოემბრის განცხადებას 2020 წლის საწევროს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მაია ნინუას განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების დაკმაყოფილების თაობაზე. თუმცა, შესაძლებელია, იმ წევრების მსგავსად, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადაუვადდათ 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, მასაც გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა იგივე ვადით - 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე.

მაია ნინუას 2020 წლის საწევროს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 8: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), დათუნა მოდებაძე, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ციციხო ცხვედიანი, მარიამ კუბლაშვილი; თავი შეიკავა 1: მამუკა ნოზაძე), მიღებული იქნა გადაწყვეტილება:

1. სამართლებრივი საფუძლის არარსებობის გამო არ დაკმაყოფილდეს მაია ნინუას განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;
2. აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, მას განემარტოს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადავადების თაობაზე;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(ბ) მურმან ქამადაძის 2020 წლის 6 ნოემბრის განცხადებას 2020 წლის საწევროს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც საპენსიო ასაკის მქონე წევრი, სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 50%-იანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი 2020 წლის საწევროს რაოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მურმან ქამადაძის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების დაკმაყოფილების თაობაზე. თუმცა, შესაძლებელია, იმ წევრების მსგავსად, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადაუვადდათ 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, განმცხადებლის, სურვილის შემთხვევაში, ასევე გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა იგივე ვადით - 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე.

მურმან ქამადაძის 2020 წლის საწევროს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 8: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), დათუნა მოდებაძე, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ციციხო ცხვედიანი, მარიამ კუბლაშვილი; თავი შეიკავა 1: მამუკა ნოზაძე), მიღებული იქნა გადაწყვეტილება:

1. სამართლებრივი საფუძლის არარსებობის გამო არ დაკმაყოფილდეს მურმან ქამადაძის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;

2. აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, მას განემარტოს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადავადების თაობაზე;

3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(გ) მამუკა კონჯარიას 2020 წლის 30 ოქტომბრის განცხადებას 2020 წლის საწევროს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე წევრი, სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 50%-იანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი 2020 წლის საწევროს რაოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მამუკა კონჯარიას განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების დაკმაყოფილების თაობაზე. თუმცა, შესაძლებელია, იმ წევრების მსგავსად, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადაუვადდათ 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, მასაც გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა იგივე ვადით - 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე.

მამუკა კონჯარიას 2020 წლის საწევროს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 8: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), დათუნა მოდებაძე, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ციციხო ცხვედიანი, მარიამ კუბლაშვილი; თავი შეიკავა 1: მამუკა ნოზაძე), მიღებული იქნა გადაწყვეტილება:

1. სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო არ დაკმაყოფილდეს მამუკა კონჯარიას განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;

2. აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, მას განემარტოს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადავადების თაობაზე;

3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(დ) ნადეჟდა ბეგიაშვილის 2020 წლის 19 ნოემბრის განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ იგი იყო პენსიონერი, ჰქონდა პანდემიური ვითარებით გამოწვეული ფინანსური პრობლემები და ითხოვდა 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას ან გადახდის გადავადებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც საპენსიო ასაკის მქონე წევრი, სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 50%-იანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი 2020 წლის საწევროს რაოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ნადეჟდა ბეგიაშვილის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების დაკმაყოფილების თაობაზე. თუმცა, შესაძლებელია, იმ წევრების მსგავსად, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადაუვადდათ 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, მასაც გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა იგივე ვადით - 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო არ დაკმაყოფილდეს ნადეჟდა ბეგიაშვილის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;
2. აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, მას განემარტოს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადავადების თაობაზე;

### 3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(ე) შოთა შავერზაშვილის 2020 წლის 30 ოქტომბრის განცხადებას 2020 წლის საწევროს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს არ ერიცხებოდა 2020 წლის საწევრო დავალიანება და ამდენად, საბჭო ვერ იმსჯელებდა განცხადებაში მითითებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

წევრებმა განაცხადეს, რომ შოთა შავერზაშვილს განემარტოს ინფორმაცია მის მიმართ არსებულ საწევრო გადასახადთან დაკავშირებით.

### საკითხი 5. 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის გადავადების შესახებ განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ხათუნა ჩიფჩიურის 2020 წლის 2 ნოემბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქვეყანაში შექმნილი პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, ასოციაციის წევრებს მიეცათ 2020 წლის საწევროს გადახდის 6 თვით გადავადების შესაძლებლობა. შესაბამისად, იგი ითხოვდა მის მიმართ არსებული 2020 წლის საწევროს გადახდის გადავადებას 6 თვის ვადით.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე, 2020 წლის 18 მაისიდან - 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით ასოციაციას მომართა ჯამში 266-მა წევრმა, რომელთა განცხადებებიც დაკმაყოფილდა 2020 წლის 11 ივნისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია, გათვალისწინებულ იქნას ხათუნა ჩიფჩიურის მოთხოვნაც და მასაც მიეცეს 2020 წლის საწევრო გადასახადის მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბრამდე გადავადების შესაძლებლობა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:



- დაკმაყოფილდეს ხათუნა ჩიფჩიურის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადავადების თაობაზე და აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში დადგენილი ვადით - მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბრამდე, მას გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვადა;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

#### საკითხი 6. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების კანდიდატების - შოთა კახიძის და ქეთევან მირიანაშვილის განცხადებებს, თანდართული ბიოგრაფიით. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად შოთა კახიძის და ქეთევან მირიანაშვილის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

#### საკითხი 7. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განაცხადის განხილვა

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ააიპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული მასალები შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ააიპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ განცხადება საგანმანათლებლო ღონისძიებისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. გადაწყვეტილების ასახვა აკრედიტებული საგანმანათლებლო ღონისძიებების სიაში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

**საკითხი 8. 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხის განხილვა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზნით**

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2020 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით, 2020 წლის საწევრო დავალიანება უფიქსირდება ასოციაციის 1109 წევრს.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი გართულებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცდა „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმა“, რომლის ფარგლებში წევრებს მიეცა შესაძლებლობა 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა გადაევადებინათ 2020 წლის 01 დეკემბრამდე. ზემოხსენებული 1109 წევრიდან, აღნიშნული შესაძლებლობით ისარგებლა 224 - მა ადვოკატმა და მათ დადგენილი ვადით - 2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე გადაუვადდათ 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადა. დანარჩენ 865 ადვოკატს არ მოუმართავს საწევროს გადახდის გადავადების თაობაზე მოთხოვნით.

თავმჯდომარემ ასევე, განაცხადა, რომ ასოციაციის შემოსავლების ძირითად წყაროს საწევრო შენატანები წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანია ასოციაციის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისა და სწორი ფინანსური პოლიტიკის გატარებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე ასოციაცია იწყებს მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას და ასევე, საჭიროა ფინანსური რესურსების მობილიზება, როგორც მიმდინარე წლის, ისე 2021 საარჩევნო წლის საერთო კრებების სათანადოდ ორგანიზება/ჩატარებისთვის და ასოციაციის ყველა შესაბამისი მიმართულების შეუფერხებელი საქმიანობისთვის, მიზანშეწონილია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყება 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ, 2020 წლის 1 -ლი დეკემბერიდან.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და გაეცნენ 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სიას. მსჯელობის შედეგად, აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე.

**ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

**(ა) 2020 წლის 1-ლი დეკემბრიდან დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით;**

(ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, განისაზღვროს ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება: სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“, მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N 8, ტელეფონი: 032 2 98 78 78;

(გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1-ლი დეკემბერი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

(დ) ადმინისტრაციული წარმოების საგანი - “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა გამოვლენა და წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

(ე) ვინაიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია, რომელთაც აქვთ საწევრო დავალიანება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების თანახმად გამოცხადდეს საჯაროდ. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.gba.ge](http://www.gba.ge) და ამასთან, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2020 წლის 20 დეკემბერი.

(ზ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2020 წლის 30 დეკემბერი.

(ი) 2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე დაზუსტდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა სია.

## **საკითხი 9. ასოციაციის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება**

ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც აღმასრულებელ საბჭოს წევრებს განსახილველად წარედგინათ 29 ოქტომბრის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე. წევრებს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები და მოსაზრებები არ გამოუთქვამთ. ამასთან, აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს განუცხადა, რომ ასოციაციის სარევიზიო კომისიის რეკომენდაციაა, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის ხარჯვით ნაწილში არსებულ მუხლის - „სარევიზიო კომისიის ხარჯი“ დაზუსტდეს სახელწოდება, რათა იგი უფრო ნათლად ასახავდეს ხარჯის მიზნობრიობას - დამოუკიდებელი აუდიტორული მომსახურების შესყიდვას.

ბიუჯეტის აღნიშნული მუხლის სახელწოდების ფორმულირებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი იქნა შემდეგი რედაქციით: “სარევიზიო კომისიის მიერ დამოუკიდებელი აუდიტორული მომსახურების შესყიდვის ხარჯი”

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. ისინი დაეთანხმნენ სარევიზიო კომისიის ხარჯის მუხლის სახელწოდების დაზუსტებას. მათი მხრიდან სხვა მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე, ასოციაციის წესდების 15.1 პუნქტის “უ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე: 9; წინააღმდეგი: 0) იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

## **საკითხი 11. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2019 წლის 13 დეკემბერს გიორგი ბიგვავას მიმართ მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაცნობა**

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2019 წლის 13 დეკემბერს გიორგი ბიგვავას მიმართ მიღებულ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, გიორგი ბიგვავას საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2019 წლის 1, 2, 8, 9, 15 და 16 ივნისს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2019 წლის 23 ილისის N 01 სხდომის ოქმის გადაწყვეტილება გიორგი ბიგვავას საჩივრის N61 ტესტის ნაწილში დაკმაყოფილებაზე

უარის თქმის თაობაზე და დაევალა ადვოკატთა ასოციაციას ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა გიორგი ბიგვავასთვის N61 ტესტის ნაწილში ქულის მომატების თაობაზე. ასევე, ასოციაციას დაეკისრა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 50 (ორმოცდაათი) ლარის გიორგი ბიგვავას სასარგებლოდ ანაზღაურება.

**აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:**

(ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 13 დეკემბრის N 3/7414-19 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, გიორგი ბიგვავას N61 ტესტის ნაწილში მოემატოს 1 (ერთი ქულა). შესაბამისად, გიორგი ბიგვავას მიერ 2019 წლის 15 ივნისს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგად მიღებული ქულათა რაოდენობა განისაზღვროს 75 ქულით.

(ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 13 დეკემბრის N 3/7414-19 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, გიორგი ბიგვავას აუნაზღაურდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

## **საკითხი 12. სხვადასხვა**

წევრები გაეცნენ:

(ა) **ლუბა გოგუას** 2020 წლის 6 ნოემბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2020 წლის ივლისიდან იგი იყო პროფესიული ადაპტაციის პროგრამით გათვალისწინებული სტაჟირების პროგრამის მონაწილე და სტაჟირებას გადიოდა თბილისში, თუმცა ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, მას მოუწია საცხოვრებლად სამეგრელოში გადასვლა და შესაბამისად, სურდა სტაჟირების გავლა მენტორ ადვოკატთან, რომელიც საქმიანობს ზუგდიდში.

წევრებმა განაცხადეს, რომ ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანახმად, ლუბა გოგუას განაცხადი ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

**აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:**

- დაკმაყოფილდეს ლუბა გოგუას განცხადება, პროფესიული ადაპტაციის პროგრამით გათვალისწინებული სტაჟირების ფარგლებში, ქ.ზუგდიდში სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან გადაყვანის თაობაზე;
- ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანახმად, ასოციაციამ უზრუნველყოს ლუბა გოგუასთვის ალტერნატიული სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შერჩევა დარჩენილი ვადით. გადაწყვეტილების შესრულება დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(ბ) ნოდარ ზარქუას 2020 წლის 6 ნოემბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი იყო მენტორი ადვოკატი. მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, ასოციაციის ვებ-პორტალის ხარვეზის შედეგად, მის მიერ დადასტურებული იქნა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის გავლის 5 -ზე მეტი მსურველის მოთხოვნა და ასევე, ხარვეზის გამო, სტაჟირებს არ მიეწოდათ ინფორმაცია ადგილების შევსებასთან დაკავშირებით, რის გამოც შეიქმნა გაუგებრობა.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ნოდარ ზარქუა საადვოკატო საქმიანობას ახორციელებლდა ორ იურიდიულ ფირმაში და აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ითხოვდა უფლებას, რომ მის მიერ დადასტურებულ ყველა სტაჟიორს მასთან გაეგლო სტაჟირების 9 - თვიანი კურსი.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ სტაჟიორის და მენტორი ადვოკატის კომუნიკაცია (სტაჟიორის მიერ მენტორ ადვოკატთან სტაჟირების გავლის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა და მენტორი ადვოკატის მიერ სტაჟიორის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა) ხორციელდება ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსებული ახალი ადვოკატის პორტალის საშუალებით, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში მუშაობდა სატესტო რეჟიმში, შესაძლოა გარკვეული ხარვეზებით, რამაც გამოიწვია, როგორც სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის, ასევე, სტაჟირების მსურველის არასწორი ინფორმირება. ნოდარ ზარქუას მიერ დადასტურებული სტაჟირების გავლის მსურველთა საერთო რაოდენობა არის 6, ხოლო პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-10 მუხლის, 10.5 პუნქტის თანახმად, სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატს შეუძლია სტაჟირების ხელმძღვანელობა განახორციელოს ერთდროულად არაუმეტეს 5 სტაჟიორთან.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული ნორმა გულისხმობს პრაქტიკული კურსის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საბჭო ითვალისწინებს ტექნიკურ ხარვეზს, ასევე, ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-10

მუხლის, 10.2 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტით თანახმად, განცხადებაში მითითებულ გარემოებას სათანადო ინფრასტრუქტურული სივრცის არსებობის შესახებ და შესაბამისად, მიზანშეწონილად თვლის, რომ გამონაკლისის სახით, ნოდარ ზარქუას განცხადება დაკმაყოფილდეს.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:**

- დაკმაყოფილდეს ნოდარ ზარქუას განცხადება და მის მიერ დადასტურებულ სტაჟირების გავლის ყველა მსურველ პირს მიეცეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში სტაჟირების ნაწილის აღნიშნულ ადვოკატთან გავლის შესაძლებლობა;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

**დავით ასათიანი**

**თავმჯდომარე**